

ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

ISSN 0132-6015

ქართული
მხატვრობა

მხატვარი



სამი რისა და იუმორის
ჟურნალი


ფასი 60 თეთრი

№5
2003

„ნინანოს“ ნაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

ჰორანრიუხი ძამარი

136
2003



უჭმელად ვერ ძლებს
სუთ წუთს.

მუხა რაიუი



უჭმელად ძლებს დეკემბრიდან
მარტამდე. ბინადრობს ტყეში.

მოქარაქე



უჭმელად ძლებს ათი წელი.
ბინადრობს საქართველოში.

აქემი



უჭმელ-უსმელი ძლებს ერთი თვე.
მოდრობს ყარაყუმის უდაბნოში.

ქოცი



უჭმელად ძლებს შეღამებამდე.
ბინადრობს ტყეში.

ზოახძი



უჭმელად ძლებს შვიდი დღე.
ბინადრობს ახალ ზელანდიაში.

ნახ. თენგიზ მირზაშვილისა



ქვეყანა იქცა „ბარდავად“
რაც გაბატონდა დოლარი,
ყველამ ერთბაშად დაკარგა,
რიდი, ზნეობა, მორალი.

უტევს კანონს და სამართალს,
იქცა მოუხდელ სახადად,
კაცებს კაცობა წაართვა,
ქალებს ნამუსი ახადა.

რკინა ცვილივით დაადნო,
მკმნელმა უგვანო საქმეთა,
ტრფობას ბორკილი დაადო
და რომანებში ჩაკეტა,

ყველა ფლიდსა და ვარეწარს
გაუხსნა მწვანე გზა-შარა,
რწმენის კედელი დაღეწა,
იმედის ბურჯი დაშალა.

დამარცხდა

ალმაჯორ თაგამაძე

იწყო უზნეო პარპაში,
დაგვყო და დავგანაწილა.
ძმა-ძმას წაჰკიდა, მამა-შვილს,
შვილმა მშობელი გაწირა!

ვინც ია ვარდებს უფენდა,
გახიზნა უცხო მხარეში,
ბევრი კი თურქი ეფენდის,
გახადა პირის ფარეში.

დაუმორჩილა ქალი ფულს,
მისცა ბოზობის სანქცია,
დედა უტირა სიყვარულს,
მრუმობად გადააქცია.

სინდის-ნამუსს და ზნეობას
ეხგერა, როგორც რაკეტა,
სათნოება და სიქველე
ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა.



ვინ როდის დატოვებს ამ დანაგვიანებულ წუთისოფელს და დიდ სოფელში წავა, ღმერთის გარდა არავინ უწყის. ამიტომ, გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობისას კაცმა თუ ქალმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს. აკაკი ბაქრაძე ამბობდა: „საინტერესო ისაა, ვინ ხატავს და არა ის, რას ხატავს“. ბედნიერება სწორედ ისაა, ვისთანა გაქვს საქმე, ვის გარემოცვაში ხარ, ვინ წერს წიგნს, ვინ გიყვება ამბავს. ამბავს გვიყვება და წიგნს წერს ცოცხალი კლასიკოსი, ვაჟკაცობისა და მართალკაცობის ეტალონი - ჭაბუა ამირეჯიბი.



კომუნისტების დროა. დროს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ამის მოყოლა ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენიდან თითქმის შეუძლებელი იყო. მითუმეტეს, რომ დარბაზში ისხდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა-ნაირი მდივნები.

ციმბირში ვიყავი გადასახლებაში, - ყველა ბატონი ჭაბუა. იქ ერთი პარტველი ცხოვრობდა, რომელიც ჩემზე ადრე იყო გადასახლებული. მასთან ხშირად მივდიოდი სტუმრად. ერთი წყება ცოლ-შვილი - საქართველოში ჰყავდა, ხოლო ციმბირში ცოლად შეირთო რუსის ქალი. მასთან ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთ დღეს საქართველოდან უფროსმა ვაჟმა ჩამოაკითხა და ძმებმა გაიცნეს ერთმანეთი.

გაზაფხულის ბოლო თვე ილეოდა. ვესტუმრე ჩემს მეგობარს, რომელიც განცალკევებით ერთ პატარა ქოხში ცხოვრობდა. ეზოში რომ შევედი ძმები დავინახე, მათ საქმიანობას ყურადღება მივაქციე. უფროსი ვაჟი, რომელიც საქართველოდან იყო ჩამოსული, ეზოში დაბმულ დათვის ბელს ეფერებოდა,

ხოლო უმცროსი ვაჟი, რომელიც რუსის ქალთან ჰყავდა, კიბით სხვენში ასულიყო და მერცხლის ბუდეს არბევდა, იქიდან ბარტყები გამოჰყავდა, თავებს აცლიდა და დაბლა ჰყრიდა. ერთ ეზოში, ორი ძმა ერთიმეორის საწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიოდა.

სუფრასთან რომ დავსხედით, რამდენიმე ჭიქის მერე ჩემი თვალით ნანახი მოუყვები ჩემს მეგობარს და თან ჩემი გულისტკივილი გაუმხილე: ორივე შენი შვილია, ორივე ქართველია, მაგრამ მათ შორის სხვაობა ძალზე დიდია. ერთი მერცხლის ბუდე ეფერება. რაშია საქმე? - ჩემს მეგობარს გაეღიმა და ძალზე მოკლედ მიპასუხა: ერთი „პავლიკა მოროზოვზე“ გაზრდილი, მეორე კი - „შვლის ნუკრის ნაამბობზე“.

ცეკას მდივნები რომ უხერხულად აწრიალდნენ სავარძლებში, ამის ცოცხალი მოწმე მე ვარ.

შანი სიხარულიძე

ნარწერა წიგნზე „ღათა თუთაშხია“

რომანზედ დამთენებია, ფანჯრებში რიბირაბოა; რა ზვრები, რა მტევნებია, ამირეჯიბო ჭაბუა!
 ლენცოფა აგიცელია, მორჩი კეთილი გიცენია; რა წიგნი დაგიწერია, რა სიკვდილები გიგრძნია! გამხმარო, გაძვალეზულო, მეკობრევე, ბერად შემდგარო, სიცოცხლეგამწარებულო, სიკვდილისაგან ვერმკვდარო! თეთრს ცხენზედ

ამხედრებულო, მწუხარე სახის რაინდო, სოფლისგან გამეტებულო, შენთან ბევრი მაქვს საერთო! მიყვარხარ - ცერად გავლილი, მიყვარხარ - ვეფხად

მხტომარე, მიყვარხარ - ეხლა დაღლილი, სენაკში - სანთლით მჯღომარე!

ლენცოფა აგიცელია, მორჩი კეთილი გიცენია, რა წიგნი დაგიწერია, რა სიკვდილები გიგრძნია! ბრძოლები განგიჭვრეტია ბრძენის, ასკეტის ღირსებით, ცხოვრება დაგიჩვრეტია კითხვა-ძახილის ნიშნებით! სიცოცხლის სამზღვრად

გდებულო, სიკვდილით ბევრჯერ შემკრთალო, საკვდავად გამზადებულო, ვერა და ვერა, ვერმკვდარო! წიგნს სისხლით ნაწერს

ვკითხულობ (მეც სისხლის ნთხევით ვმღეროდი!) შენთან ერთობით

ვდიდგულობ, - ვამაყობ საქართველოთი!

აურვან ლუბანიძე

როგორც ბევრმა აღნიშნა, - მოვალე ხარ, გვიწერო, და „ნიანგი“ აგვივსო, - რედაქციის წევრო!

 სხედან ქალები ეზოში და ქვრებზე ქორაობენ.
 - ჩემი ქმარი ლოთია.
 - ჩემი სულ ქალებში დაძვრება.
 - ჩემი კი სიფილისტიკია.
 უცებ ფანჯრიდან ისტერიული ყვირილი ისმის:
 - სიფილისტიკი კი არა ფილატელისტი ვარ, ფილატელისტი.

 სამი სპერმატოზოიდი საუბრობს:
 - მე მიხდა ექიმი გავსდე.
 - მე კი მსახიობი.
 - ვშიშობ, რომ ეს დამპალი ონანისტი მთელ ჩვენს ოცნებებს ჩაგვიშლის.

 ყვავი ხეს თავით დაეჯახა და გაიფიქრა:
 - კიდევ კარგი ტენი არა მაქვს, თორემ ტენის შერყევა დამემართებოდაო.

აზნაურის

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს
 პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
 მ რ ო ვ ნ უ ლ ი
 ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა



ნახ. კ. კაჭარავასი

პარლამენტარის ფიქრები

მთავრობის ჩინოვნიკი

ჩაიკეტა კაბინეტში,
 რჩევას ყურად არ იღებს,
 ღირეჭტივებს თვითონ აცხობს -
 ინსტრუქციებს არივებს...
 ახალ აგარაკზე ფიქრობს,
 ძერწავს სახლის მკეტებს...
 კაბინეტის მოწყობაზე
 მოხსენებას აკეთებს.
 საქმე მაინც არ სწორდება
 მოუხშირა თათბირებს,
 ბიუჯეტი შეუკვეცეს
 მალე ჩივილს აპირებს...

არსენ ქარჩავა

გალაკტიონმა მთვარე აჩუქა
 მთაწმინდას, საქმე კი ქნა უჯერო,
 და გააფორმა მშვენიერ ლექსით
 ამ ნაჩუქრობის დასტურ-გუჯარი.

დღეს საქართველოს ხელისუფლებას
 ჭამით მუცელი ისე ეზრდება,
 რომ მემინია, არ გააკეთოს
 მთაწმინდის მთვარის პრიატიზებაც.

დიდების ზღაპარი „ნიანგისათვის“

სააკაშვილი და შარაძე დროშის თაობაზე აშარდნენ.
 ვინ არ ჩაერია მათ გასაშველებლად, - მერია, პარ-
 ლამენტი, პრეზიდენტი, პატრიარქი... - მაგრამ საშველი
 მაინც არ დაადგათ. ბოლოს ადგნენ და „კანონიერ
 ქურდთან“ მივიდნენ. ქურდმა, როგორც სამართ-
 ლიანობის უმაღლესმა ინსტანციამ, მარტივად და მტკი-
 ცედ გადაწყვიტა:

თქვენი აშარდვით ხალხი შეწუხებულია. „არიოლ-
 რეშკას“ გათამამებით დროშა ორ ნაწილად უნდა გაი-
 ყოს. ჰოდა, გაათამაშეს. დროშა შეხვდა სააკაშვილს,
 დროშის ტარი კი - შარაძეს. რაზედაც ორივენი უკმაყო-
 ფილონი დარჩნენ. ბოლოს ქურდმა დაადგინა:

წელიწადში ერთხელ დროშის ნაწილები მხარეებმა
 უნდა გაცვალონ. გადაწყვეტილება საბოლოოა და
 გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ზღაპარი მოგვაწოდა ქურდის თანაშემწემ
 საშინაო პოლიტიკის საკითხებში - „შავმა“.

ნელი ნაკია

- მთავრობის გაფართოებულ სხდომას მოსახლეობის შევიწროება მოჰყვა.
- წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ ყველაფერზე ხელის მომწერია.

პოლიტიკური ლექსიკონი

ჯოჯოიყცია - რასაც სიტყვით ებრძვიან და საქმით იცავენ.

ინფესიცია - არ ანაწილებენ, არამედ ინაწილებენ.

ჰენსია - მანამ ყინავენ, სანამ პენსიონერი არ გაიყინება.

ყოჩალი - ყაჩალი, დღევანდელი გაგებით.

აქცია - რაც უამრავი პრეტენზიებით იწყება და ორთქლის გამოშვებით მთავრდება.

ნინსააჩრუნო ჰლოპანრა - სხვისი ბრალეულობის წარმოჩენა საკუთარის დასაფარავად.

მუდახი სურები - ერთგული ამომრჩევლები, რომლებიც ავტოკრატის არ საჭიროებენ.

ნინსააჩრუნო სურებასები - ქოსატყუილების შევიბრი.

დუჟუცაჟობის კანდიდატი - დაპირებები, დაპირებები და დაპირებები..

აჩრუნები ჩუნებუჩად - არჩევნების საყოველთაო ფორმა, რომელშიც საიქიოდანაც იღებენ მონაწილეობას.

საჰაჩამუნსო იმუნისყუი - დანაშაულის ჩადენა შიშის გარეშე.

ა. თ.



ნ. ა. მ. აბაშიძის



- ეს ის არაა, შემსალაროს უფროსი რომ იყო?!

ნ. ა. მ. კუციას



- ვერ მიმასწავლი კრწანისის გზას?!

სწავლული ძერს (იგავი)

ეს არის ანი,
ეს არის ბანი.
მეც აღარ მაკლია
სიგრძე და განი.

კაჰკაჰი რა არის...
ფიქრობდა ძერა,
დაჯდა და დაიწყო
მან წიგნის წერა.

დაწერა თუ როგორ
ცხოვრობდა ციყვი,
და როგორ დახტოდა
ბაჰია ბრიყვი...

მაგრამ ვერ დაიცვა
წესი და რიგი,
რადაცა-რადაცით
გაავსო წიგნი.

მას აღარ გამორჩა
ნაცნობი ძველი.
ჯერ ტურა შეაქო
და მერე მგელი.

უზომოდ შეაქო
თავუნა გლახა,
ლომისთვის ადგილი
ვერ მოინახა...

ა. ქ.



დიდოსტაუნი ზქანებს

- **საეპოპლოს** სიყვარული მტკნარი ფიქციაა, თუ მისი თავიკიდური არ იქნება საქმე.
- **ნასიონალური** ტრაბახი საზიანოა ყველა ერისათვის, ტრაბახი შარავანდედს არ უმატებს ნაციონალურ კულტურას.
- **ხშირად** ცუდ მოწაფეს ისევე სძულს თავისი კარგი ოსტატი, როგორც პლაგიატორს ნამდვილი ავტორი და ქურდებს მოპარულის პატრონი.
- **ამჟვეყნის** ძლიერთა წესია აგეთი: ისინი არავის აპატიებენ ჭკუას, რადგან კარგად იციან, მისი პატრონი მლიქვნელად არ გამოადგებათ.
- **ზოგ** კაცს ენა რომ არ ჰქონდეს, აჯობებდა, როგორც მისთვის, ისე სხვისთვისაც, რადგან ზოგს ენა როდი აბია, თავადაა ენაზე მიბმული.
- **უღირსი** კაცის თვალში თვით უდიდესი და უზენაესი არარად იქცევა ხოლმე.
- **ბარა** ორასი წელია, ქართველებსა და რუსებს ერთად გვიღვრია სისხლი საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში და... არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს, როგორც სისხლი.
- **მგალობელს** ხმას უსინჯავენ და არა ჭკუას.
- **ქაშის** ვაჟკაცობა ორ რამეში გამოჩნდება ხოლმე: როცა მას დააწინაურებენ და

- როცა მას დააქვეითებენ; ორივე შემთხვევაში გონიერება და მხნეობაა საჭირო.
- **ბანა** მარტო კლასთა ბრძოლაა ამქვეყნად,
- **ზარმაცსა** და **ბეჯითს** შორის, საქმეში გამარჯვებულსა და საქმეში ხელმოცარულს შორის ბრძოლა წარმოებს ნიადაგ.
- **იმ** დღიდან, რაც ადამიანი წარმატებას მიაღწევს, სახელთან ერთად მტრებს მოიხვეჭს ხოლმე.
- **სსოვრება** ავ ძაღლსა ჰგავს ხანდახან: თუ შეკრთი და უკან დაიხიე, ბარკლებს გამოგჭამს, იცოდე! ცხოვრებას უნდა შეუტოო, როგორც კი შეგიძლია!
- **ომი** ყოველ კაცს არ შეუძლია და ინტრიგანობა კი ყველას ძალუძს.
- **ქაი** კაცებს მუდამ ჰყოფნით გამბედაობა, საკუთარ თავს დასცინონ ხოლმე.
- **ჰინს** წარამარა თავს იმართლებს სწორედ იგია უდიდესი ცოდვილი.
- **ისათი** ბრძენნიც არიან ამქვეყნად, რომელთაც არც ბრძნული რამ უთქვამთ ოდესმე, არც გაუკეთებიათ, მაგრამ ბრძენის სახელი მოუხვეჭიათ, რადგან თავიანთი სისულელის გამხელას დუმილს არჩევენ მუდამ.
- **ზოგიერთი** კაცის ცხოვრება უნიჭო მწვერლის რომანსა ჰგავს... ბოლომდე ჩაათავებ და ასე იტყვი: ნეტავ არ წამეკითხაო.
- **არაფერი** ისე საამური არაა ამქვეყნად როგორც საყვარელი ადამიანისათვის შრომა.
- **ქვაი** ნატყორცი გულმართალისა და მდუმარის მიმართ, მის გამტყორცნელს მიუბრუნდება უკან.
- **ღვინო** ბროლის სარკესავით გამოაჩენს ადამიანის შინაგან ბუნებას.
- **სათაური** იგივეა, რაც თვალი ადამიანისა ან სარკმელი ცათა სამყოფლოსი.
- **ზოგიერთი** მწერლებსა და ლამაზ ქალებს ერთნაირი უბედურება სჭირთ: ვინც მათ ვერ მისწვდება, ყველა აგინებს.
- **საუბარსა** ისე ესაჭიროება პილპილი როგორც კერძს.
- **სიხრუე**, ფლიდობა, თვალთმაქცობა და მამებლობა, - ეს ოთხი უებარი კლიტეა, რომელნიც სამოთხის მაგრად დახშულ კარებს აღებდნენ ყოველ დროში.
- **ქება** ის ნაკელია, რომელიც ვარდსა და მყრალა ბალახს თანაბრად უხდება.
- **მსოლოდ** ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთი.
- **ჰინას** ამა თუ იმ ერის ხასიათის შესწავლად უნდა, ის ბავშვებსა და უბრალო ხალხს უნდა დააკვირდეს.
- **სიხვარული** კორექტურულ შეცდომას ჰგავს: სადაც არ გგონია, იქ შეგეპარება.
- **ქველ** მტრობასა და უშუღლს ერთადერთ წამალი უნდა, - ეგ არის დავიწყება.

ბიზნესმენობამ და კომერციანობამ ქვეყანა რომ წალეკა, გადავწყვიტე, ხელსა და ტვინს მეც გავანძრევე-მეთქი. მოსკოვში ჩავედი დაზვერვის მიზნით. იქ სრულიად შემთხვევით უოლან ივანოვს შევხვდი, ნატურალურ ჩუქჩას. (მის თანასოფელთა ნახევარზე მეტი ივანოვის გვარისაა), რომელიც სისხლისფერ არმიაში ჩემთან ერთად მსახურობდა. მიჩნია, ერთი გაიჭირვე, მამჩემთან ჩადი ჩემს სოფელში, მოელაპარაკე და ბეწვეულის ბიზნესს მოკიდე ხელიო. მაგარი კაცია მამჩემი, არ წააგებო.

ჭკუაში დამიჯდა. ავდექი და პირდაპირ მოსკოვიდან გავწიე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ოხონოპოი ივანოვი შვილზე უფრო ნაღდი ჩუქჩა გამოდგა. საქმიან საუბარს ორ საათში მოვრჩით. ამაღამ სადღა წახვალო და, ვიგვამში (თუ რაც ჰქვია!) ღამის გათევა შემომთავაზა, სელაპის ღვიძლით, კატრანის ლაყუჩებით, თეთრი დათვის შემწვარი ყვერებითა და „სტოლიჩნი“ ვივანშმეთ. დაწოლის წინ თავის ორივე ცოლს დაუძახა და შემომთავაზა, რომელიც მოგწონს, ამაღამ იმასთან დაწვიო. თანაც გამაფრთხილა ეს ჩვენი ტრადიციაა და არ მაწყენინო, თორემ ჩვენი შეთანხმება ბათილად ჩაითვლებაო.

ამ ტრადიციის შესახებ გაგონილი მქონდა და მაინცდამაინც არ გამკვირვებია. გავუღიმე და მოწყალედ დავუქნიე თავი. ქალები შევათვალე. რა თქმა უნდა უმცროსი ავირჩიე. მშვენივრად გავატარე ის ღამე, ეგ იყო, ოხონოპოის უფროსმა ცოლმა არ მოგვასვენა, მთელი ღამე რაღაცას ებუზღუნებოდა უმცროსს, ეტყობა, - დაისვენე, ცოტას შეგვენაცვლებიო, - სთავაზობდა, თუმცა უმცროსი სულაც არ გრძობდა დაღლილად თავს.

ღლით ოხონოპოის სტუმართმოყვარულ ოჯახს დავემშვიდობე. მშვენიერ გუნებაზე ვიყავი, ეგ იყო, ცოტა დაღლილობას ვგრძობდი.

ოცი დღის შემდეგ ოხონოპოი ჩამოვიდა თბილისში და ერთი ვაგონი სიასამურის ტყავი ჩამომიტანა. ცას ვეწიე. სასტუმროში ხომ არ

გაუშვებდი საპატიო სტუმარს, მეფურად ვავანშმე, კარგად შეზარხოვდა; ცოდვას ვერ ვიტყვი, მთვრალი არ ეთქმოდა.

- შენ ერთი ცოლი აქვს? - როცა ავიშალეთ, მეკითხება ოხონოპოი ივანოვი.

- ჰოო... ვუბასუხე. გულში ავმაწინათგრძობამ გამკრა და ყელი გამიშრა.

- შენმა ცოლმა ჩემი საწოლი დაწვეს, შენ მარტო იყოს? - შევებრალებ სტუმარს.

- ტანში გამცრა. რა გინდა, რომ ქნა! ელაპარაკე ახლა ამას ტრადიციებზე! თვალი კარისკენ გავაბარე - მარინა არ გვისმენდეს-მეთქი, გული მისკდება... და უცებ ბედნიერმა იდეამ გამინათა გონება!

- ტელეფონის აპარატს ვეცი. ნომერი ავკრიფე.

- ნუნუ, გამარჯობა! უნდა მიშველო! სტუმარი მყავს ერთი, ჩრდილოელი. მაგათ სხვანაირი ტრადიციები აქვთ. ქალი უნდა, ოხერს. როგორ თუ რა ქნა, ახალი ამბავია შენთვის თუ რა?! ამაღამ დაუწვიე და პატივისცემა ჩემზე იყოს! სიასამურის ორი

ქურქი გეყოფა? არ ვხუმრობ, მთელი ვაგონი ჩამომიტანა! შვილებს გეფიცები... შენ მაგას ამაღამ სიქნა ვაბუკაღლე, ნუ დააძინებ და როს! ქურქს თავისით დაუმატებს.

- ხელფასზე მეკითხები?.. მე რა ვიცი, ქალო, ღიდი აქვს თუ პატარა! ნახევარ საათში აქ გაჩნდი, გელოდები! მანამდე რაიმეთი შევიქცევ!.. მხეცი ხარ, ქალი კი არა! აბა, ჰე.

ნუნუ ჩემი მეუღლის ტყუბისცალია. იმ ღამეს მაქსიმალურად გამოიყენა თურქეთში მიღებული გამოცდილება.

ჯადუნ ჯედანი

ანაქლოზაჟი

ბავშვები ერთმანეთში საუბრობენ:

- ჩემი მშობლები ღამ-ღამობით ღომინოს თამაშობენ.

- საიდან მოიტანე?

- წუხელ მამამ უთხრა დედას - "ძვირფასო, მე უკვე გავათავე".

- "ოჰ, შე ვირო" - უბასუხა დედამ.

ბარმენი მიმართავს კლიენტს: - თქვენი ჭიქა ცარიელია, ხომ არ იხებებთ მეორეს?

- რა ჩემ ფეხებად მინდა ორი ცარიელი ჭიქა?



ნ.ხ. დ. კერესელიძის

- ცოლებში ბედი არა მაქვს. პირველი გამექცა, მეორეს მე გავიქეცი, მესამე არ მიღის და ვერც მე გავიქეცი.



- ეს, ვინლაა?!
- ეს ჩვენი მოსწავლის მამაა, ლუდის ქარხნის დირექტორი -
ბატ. არქიპო!



საქართველო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

საქართველო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

შაპაბაში აღარ გვესმის თავს,
აღარ ველით მონღოლსა და სპარსს,
აღარ ვიცვამთ ჯაჭვის პერანგს დღეს,
აღარ გვაკრავს ღრე და ზღუდე გარს!..
მაგრამ ვხედავთ მანქანების ჯარს,
სამწუხაროდ, ველარ ვითვლით მსხვერპლს,
ვეწაფებით რადგან ღვინის ზღვას!..
საფრთხეში ვართ ყველა, ყოველ წამს!..

გევედრებით, - ეს ნაღველი მწვავს, -
ნულარავინ ანდობს საჭეს მთვრალს, -
ვისაც მართლა საქართველო სწამს.

ვეუშაოზ

მე ვმუშაობ
შენ მუშაობ
ის მუშაობს
ჩვენ ვმუშაობთ
თქვენ მუშაობთ
ისინი ჭამენ

ჩიოში ვეშაჟი

მე რიგში ვდგავარ
შენ რიგში დგახარ
ის რიგში დგას
ჩვენ რიგში ვდგავართ
თქვენ რიგში დგახართ
ისინი ურიგოდ მიდიან

**პიჩნაპლი ზენუაის
ულეზა**

ბურამ ხარაიკე

ვსნაჟლოზ

მე ვსწავლობ
შენ სწავლობ
ის სწავლობს
ჩვენ ვსწავლობთ
თქვენ სწავლობთ
ისინი სამსახურში ეწყობიან

ჰეჰი

მე ვწერ
შენ წერ
ის წერს
ჩვენ ვწერთ
თქვენ წერთ
ისინი იბეჭდებიან

მეშაჟი

მე მცემენ
შენ გცემენ
მას ცემენ
ჩვენ გვცემენ
თქვენ გცემენ
ისინი გვიყურებენ

საქრაობ-ლანაუსიათა

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჩათლახი **ზინა ბოზანდარაშვილი**, რომელსაც თანასოფლელები მოფერებით „საკრაობტეს“ ეძახდნენ.

იგი დაიბადა ზნეობრივად ღატაკ ოჯახში - ბუნაგში. მამამისი კატა, უპატრონო ბავშვთა სახლში, ხელმისაწვდომ ფასებში იყო ნაყიდი. კატა „დაჯილდოებული“ იყო ყოველგვარი არაადამიანური მონაცემებით, რასაც ხელს უწყობდა მისი მეუღლის, როზა ბორდელიძის ზედმიწევნით დამყოლი, „ქალური“ ხასიათი. მეუღლეებში კარგად იყო შერწყმული ბოზურ-ლოთურ-ნარკომანული თვისებები, რამაც „დადებით“ ზეგავლენა მოახდინა ქალიშვილის „აღზრდაზე“.

12-14 წლის ასაკში ზინა ისეთი გათქვირებულ-გალაღებულ-გაკეკლუტებული იყო, რომ სოფლის ბირჟაზე ავლა-ჩამოვლის დროს ბიჭებს თვალები უელამდებოდათ. აკი იმიტომაც შეარქვეს „საკრაობტე“. „საკრაობტე“ კი შეარქვეს, მაგრამ ბირველი „მეცადინეობა“ ჭყეტელაანთ შალიკოს ვენახის

ბოლოში, პირდაპირ მდგლოზე ჩაუტარეს. ის იყო და ისა. „საკრაობტე“ ისე გაიწაფა, რომ ჯერ მთელი სოფლის ახალგაზრდობის მაღლი მოისხა, ხოლო შემდეგ 18-19 წლის ასაკში ფულიც იშოვა და ავტორიტეტიც მოიხვეჭა.

სოფლიდან გამოპანდურებულმა „საკრაობტემ“, თბილისში, ჩელუსკინელების ხიდის თავში დაიღო ბინა და ხელი მიჰყო არასრულწლოვანი გოგონების „აღზრდას“. ცოტა ხანში ისე გაითქვა სახელი, რომ თავის აღზრდილებიანად თურქეთში მიიწვიეს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თურქეთში „მოღვაწე“ ბოზებიდან დაახლოებით 30% ზინას აღზრდილები ყოფილა. ფინანსურად მომაგრებულმა „საკრაობტემ“, პირველად საქართველოში, ჩამოაყალიბა მეძევთა საზოგადოება: - „რასაცა გასცემ, შენია“. ხოლო შემდეგ შექმნა მთელი ქალაქისათვის ცნობილი ბორდელი - „ნამუსი“.

წავიდა ჩვენგან „ვალმოხდილი ქალბატონი“. ვინ მოსთვლის რამდენ მამაკაცს

მოუხრია მის წინაშე მუხლი - „კრაობტეში“.

დამკრძალავი კომისიის ცნობით, რომლის შემადგენლობაშიც არიან რუსეთიდან ჩამოსულები: ალა აძღვესკაია, ირა პალეზნოვა, გრიშა ებანოვი, მასპინძლები: მაყვალა ბლიაძე, გოპარ მინეტაინი, ცუცა მიქენია, ლესტანბერ ტრანკაძე, ლუტუ ნაბიკვარიშვილი, მარგო ნასრიაშვილი და გურგენ ჯიგარტრაწიანი.

ზინა ბოზანდარიშვილს, იგივე „საკრაობტეს“, დაასაფლავებენ შვიდშაბათს შვიდ საათზე „ბლიადსკი“ ბაღში.

ამხანაგების „კუტოკი“

ნეკროლოგ-დახავსიათება
ქარიან ამინდში იპოვა

ნიკოლოზ იოსებბიძე



ნახ. მ. კუხაშვილისა





ნახ. პ. ფირცხალავასი

განცხადებები

ვინ ხა თქვა სიხვილის წინ

საპედიციო ინსპიჯატი დამატებით აცხადებს, რომ წელს პირველ კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან ამავე ინსტიტუტის ის კურსდამთავრებულები, რომლებიც სამუშაოდ რაიონებში გაანაწილეს, მაგრამ არ წავიდნენ, დარჩნენ თბილისში და აქვე უსაქმურობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

რესორანი "გეომო"ჯახებიდან აწარმოებს გემრიელი კერძების შესყიდვას 80 პროცენტის ფასდაკლებით (ჭურჭელი ჩვენია).

ბრანს "სრულ წესრიგს" ესაჭიროება დამლაგებელი!

14 აპრისოს. დღის 12 საათზე, №1 შემნახველი სალაროს უმცროსი შემნახველი მუშაკი შ. ფულარია დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პირველი შემნახველი სალაროს არსებობის უტყუარი ფაქტი მე-19 საუკუნის II ნახევრის იმდროინდელ საქართველოში ხალხური „არსენას ლექსის“ „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში, ერთ დიდ კლდეში დევსა“-ზე დაყრდნობით.

მლიქნეალა: მიქელ-გაბრიელ საიქიოვიჩი, დირექტორს შეეფიცე, შენთვის მოგვკვდები-მეთქი და ახლა ჩემთვის რომ მოგვკვდე, ხომ მომკლავს?!

ანონივისა: ისე გვკვდები, სახელიც არ მრჩება!

განდილუბის მანიით შაყრობილა: კი ბატონო, სიამოვნებით მოგვკვდები, მაგრამ უკვდავი რომ ვარ, რა ვქნა?!

მეპრთავე: სული რად გინდა, უფალო, ფული წაიღე!

ლოთა: სანამ სულს დავლევდე, ერთი ჭიქა არაყი დამალევინეთ!

პესივისა: სიბნელე, მეტი სიბნელე!

კარიერისა: დასაფლავებამდე ცოტახნით დირექტორის კაბინეტში დამასვენეთ!

ქორვაჭარა: ვერ თავის ფასში არაფერი გამიყიდა და შენ სული გინდა უფასოდ წაიღო?

სანყოზის გავა: ყველა დანაკლისი ჩემს კისერზე გადადიოდა, ჩემს დანაკლისს კი ნამდვილად ვერ გადაიტანს ჩემი ბულალტერი!

ხულიანა: აქ არავის ვუნდივარ და იქ რად გინდივარ ღმერთო!

შპრიბა ბათუ მელიამ



- რა გაღრიალებს?! ალუ, ნეკზე არ მიკბინო!
 - რაღა უნდა გიკბინო, ექიმო, რაც სალი კბილები მქონდა, სულ დამაძრე!

სცომასტოლოგური ნიკონსტროქცია

ვერასოდეს დავასრულე
 მკურნალობა კბილის:
 დღეს რომ ერთი დავაყუჩო,
 ხვალ სხვა იწყებს ტკივილს,
 ეკალივით მეშინია
 ცივისა და ტკბილის...

გადავწყვიტე, მეც მოვამტაცე
 ისე ამ ჩემს კბილებს,
 როგორც არქიტექტორები
 ექცევიან თბილისს:
 მოვიშორე გაბზარული,
 მივაყოლო მთელიც,
 კენტად ერთიც არ დავტოვე,
 მოსაგონრად ძველის,
 რომ გააჩვევა არა მქონდეს
 მწარისა და ტკბილის,
 აღარც განცდა მაწუხებდეს
 ცივისა და თბილის,
 შუქისა და ჩრდილის,
 კენტისა და წყვილის...
 სხვა კბილები ჩავიყენო,
 ცემენტის და ცვილის,
 თუნდაც ჰქონდეთ გამძლეობა
 შოკოლადის ფილის...
 როგორც არქიტექტორები
 ექცევიან თბილისს!

აკაკი გელოვანი



უსხოური იუმორი

მოსწეხები ჰასები

მასწავლობელი: ისევ დავავიწყდა კალმისტარი, ფრანც?
 ერთი მითხარი, რას უწოდებდი ომში უთოფოდ წასულ ჯა-
 რისკაცს?

მოსწავლი: გენერალს, ბატონო მასწავლებლო!

ოცნება

ოქოლოთქობელი: ჯარისკაცო მიუღერ, წარმოიდგინე საგუ-
 შაგოზე დგახარ. უკვე ბნელა. ზურგიდან
 ვილაც გეპარება და მხრებზე ისე მაგრად
 გხვევს ხელებს, რომ იარაღის ხმარება არ
 შეგიძლია, როგორ მოიქცეოდი?

ჯარისკაცი: - ვეტყვოდი: „გამიშვი, ლუიზა,
 ხომ ხედავ, საგუშაგოზე ვდგავარ!“

ბიძია და ძმისწული

- ახლა ხომ გაიგე, ჩემო პატარა ვენცელ,
 რატომ გეძახი ჩოჩორს?

- კი, ბიძიკო, იმიტომ რომ ჯერ შენხელა არა
 ვარ.

ტემზის სანაპიროზე

ტემზის სანაპიროზე ფოტოაპარატის
 კაცი მისეირნობდა. ქალმა მიიბრინა მასთან
 და სთხოვა:

- თუ შეიძლება, წამობრძანდით, ჩემი ამხა-
 ნავი იხრჩობა!

- სამწუხაროდ, ფირები უკვე გამითავდა. -
 მიუგო მან.

უხადლებიანი გამყიდველი

მომყვანი: მე ექვსი ფორთოხალი გთხოვთ, აქ
 კი ხუთია.

გამყიდველი: მეექვსე ისეთი დამბალი იყო,
 თქვენ თვითონაც გადააგდებდით.

ნახ. ჯ. ლოლუასი



- თუ რამე შემემთხვეს, ხალხს უთხარი, იმდენი თხოვეს,
 იძულებული შეიქმნა, თვითონ გაეკეთებინა ოპერაცია-თქო!

ჩვენ გზაჯვარედინებზე

უსწოური იუბილი

თანაგობლობა

მძლოლი მეფუტკრეს შეეკამათა:
- ბოძზე მანქანა გავფხაჭუნე, რადგან ერთმა თქვენმა ფუტკართანმა მოულოდნელად მიკბინა.

- დიდად თანაგიგრძობთ, — მიუგო მან, — მაჩვენეთ და მნაშავე და მე მას სამაგალითოდ დავსჯი.

საბჭოთა

- მძლოლო, თქვენ მოვრალი ხართ!
- ბატონო ჩემო, ჰკითხეთ ქალაქში ვისაც გნებავთ და გეტყვიან, რომ მე ალკოჰოლიკთა შორის ყველაზე საუკეთესო მძლოლი ვარ.

აზიკეცი

იმის მტკიცება, რომ შვედი მამაკაცები თითქოს ჯენტლმენები არ იყვნენ, სინამდვილეს არ შეეფერება. მაგალითად, ღღეს საკუთარი თვალით ვიხილე, შვედი მამაკაცი თავისი ქოლგით როგორ იფარავდა წვიმისაგან ერთ ქალს, რომელიც ავტომობილს საბურავს უცვლიდა.

ლილოვი

- „უიგულის“ ავზში ბენზინი რამდენი ჩადის?

- გააჩნია ავტოგასამართ სადგურს.

-შენზე ამბობენ, საჭესთან სვამსო.

- საჭესთან რატომ, როცა რესტორანი ყოველ ნაბიჯზეა!

დამთხვევა

-კარგად ატარებს თქვენი ცოლი მანქანას?

-კი, როცა გზაც მასთან ერთად უხვევს.

ყველა მეზაჟი

- ფული არა მაქვს და წამიყვანე, ძამიკო, ქუთაისში, იქით მიდიხარ მაინც **ქრქვენი**
- ფული თუ არა **გაჭუსს ჩაბტმ** ეგერ, რიონში, იქით მიდის ისიც.



თემა ბ. ვაზაგვეისა

აი 93

ნახ. მ. კუხაშვილისა



ტელეინტერვიუ გალასიათა სიკლიდენ

"დემოკრატიული გარდაქმნების კვალი კვადრატში"

საინტერვიუო
საინტერვიუო

ბალაქუ: ძვირფასო ტელემყურებლებო! ახლა წარმოგიდგინებ თქვენთვის კარგად ცნობილ ბატონ ბაქი ბუქიას.

ორატორ-ინტერვიუერი, ბაქი ბუქია, - ღირსების სრული შეგნებით უახლოვდება მაგიდას, დინჯად ეუფლება სკამს და საკუთარ თავში დარწმუნებული უყურებს მილიონობით ტელეკრანებთან მიშტერებულ ადამიანებს.

იგი თავს შესანიშნავად გრძნობს, რადგანაც ყრდნობა მაგიდას და საკუთარ გამოცდილებას.

პატივცემულო ტელემყურებლებო! მინდა გაგანდოთ, რომ ქართველთა ისტორიული ამოცანა შესრულებულია. ერმა სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოამჟღავნა და მიაღწია თვითგამთლიანებას.

სიმბოლური და ნიშანდობლივია, რომ ეს ჩვენს ისტორიულ დედაქალაქ თბილისში მოხდა. ქვეყნის მოსახლეობის 92 პროცენტმა თავი მოიყარა ელიავას, დეხერტირების, ლილოსა და რკინიგზის სადგურის მოედანზე გამართულ ბაზრობებზე, გარდა ზოგიერთი სეპარატისტისა და ანტიეროვნული ელემენტისა, რომელთაც ვერ გაიგეს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ერთად ყოფნას, ერის კონსოლიდაციისათვის. „სირცხვილი მათ და გაუმარჯოს ერთიან და განუყოფელ საქართველოს!“ ტელევიზიის მუშაკები ვერტიკალურ მდგომარეობას იძენენ და ბაქი ბუქიასთან

ერთად უკრავენ ტაშს. ტელეკრანებთან კი იგი-ნებიან, ილანძღებიან და ზოგან იფურთხებიან კიდევ.

ტელემუშაკები ბაქი ბუქიას თხოვენ გააგრძელოს ინტერვიუ. ის უბრუნდება მაგიდას, იღებს საწყის მდგომარეობას და იწყებს:

ახლა კი მეგობრებო, მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებაზე გესაუბრებით, რომელიც შედარებით ცნობილი ფაქტია. მოვახდინეთ რა უსისხლო დემოკრატიული რევოლუცია, ჩვენ მითი რეალობად ვაქციეთ, სოციალიზმი კი - ნაცარტუტად. საბჭოთა მრეწველობა მოვსპვით და მუშათა კლასი, როგორც ისტორიული ანაქრონიზმი მას მივაყოლეთ, დაზგები და ჩარხები კი ჩამორჩენილ ქვეყნებს გავუბზავნეთ ჯართის სახით.

სოფლის მეურნეობას და ტყეებს სოციალიზმით გავუსწორდით და მათთან ერთად გლეხების ლიკვიდაციაც მოვახდინეთ.

შედეგად მივიღეთ უკლასო ჰარმონიული საზოგადოება, სადაც არავინ არავის ებრძვის, არც შრომობს და არც თავს იწუხებს. ასე ერთი დაკვირვით მივადწიეთ იმას, რაზეც თაობები ოცნებობდნენ. და განუხრელად მივიწვევთ წინ კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

ბალაქუ: ბატონო ბაქი! ინტელიგენციასზე რას იტყვი?

ბაქი ბუქია: უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფენა მუდამ სხვის კმაყოფაზე იყო და ამ ბოლო დროს თვითდაფინანსებაზე გადავიყვანეთ. ახლა პროფესორები და აკადემიკოსები აუდიტორიების მაგიერ ლილოში, ელიავაზე და მეტროს შესასვლელებში ბაზრობენ და მეცნიერული პრობლემების ნაცვლად პირად პრობლემებს აგვარებენ.

ბალაქუ: არის თუ არა იმის საშიშროება, რომ უზრუნველმა ცხოვრებამ ამ ადამიანებში ინერტულობა განავითაროს და პირადი ინიციატივა ჩაკლას.

ბაქი ბუქია: სწორედ ამ მიზნით ვამცირებთ შტატებს, ხელფასებს, ვზრდით გადასახადებს, ვყინავთ პენსიებს, ვთიშავთ გაზსა და შუქს და მოსახლეობა გადაგვყავს იძულებით დიეტაზე, ანუ უვადო საერო მარხვაზე. ყველაფერი ეს მათი კეთილდღეობისთვის კეთდება. ბევრმა ნდობა გაამართლა და დაეუფლა ულტრა თანამედროვე პროფესიებს: ლეგალურ სპეკულაციას, ბოზობას სამივე სქესისათვის, მათხოვრობას, გადაგდებას და ა.შ. მათი შესაძლებლობების რეალიზაცია რომ დაჩქარდეს შემოვიღეთ იძულებითი უმაღლესი განათლება, ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური და სავალდებულო კომპიუტერული სწავლება.


საეთერო დრო ამოიწურა. ტელეჟურნალისტი მადლობას უხდის ბაქი ბუქიას, საინტერესო საუბრისათვის. ტელემყურებელი კი, როგორც ყოველთვის (ლაპარაკია 92 პროცენტზე), პირში ჩაღა გამოვლებულ ძროხასავით რჩება.

თქმა და ნახ. მ. აბაშიძის



მშვენიერად დადილივს, სახატრული სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება, რადგან არა რამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა, რადგან სიცრუე ერთგულების განდა თვისება, რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა, რადგან მრწამსობით შეღაბულა უმანკოება...
მწე სირცხვილი

კვილი იაფათ



თემა და ნახ. მ. ხაბაშიძისა



კორიკი

30-იანი წლები (სტილი დაცულია)

ანაფოდისტე - საჩხერე
 გულშამ სახლში შემოცვივდნენ
 კოსტაიას ბაღები
 უკან ყეფით ქე მოსდევდნენ
 ერმილიეს ძაღლები,
 ნოშრევანას შვილობილი
 შემოხტა და მახარა
 თურმე ჩვენ ყვავს მოუგია
 სამი ცალი ბახალა...

ნიანგი: ყვავს კაი სქმე უქნია, და მალეც დააფრენს იმ ბახალებს, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ?

ტიტიკო -ზესტაფონი
 ყველა მატყობს პოეტი ვარ
 მემარჯვება ლექსი, სტიხი
 და სახელზე ჩემ მიჯნურის
 გამოვაცხე აკროსტიხი.
 ნაზი სიო ველს ევლება
 უცებ ხევ-ხევს თავი სტუცა
 ცას და ხმელეთს მიჩვენისხარ
 ატმისფერო ჩემო ნუცა...

ნიანგი: „ატმისფერი“ ნუცა ღმერთმა შეგარგოთ, ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებეთ.

მარალო - ბათუმი
 ნიანგო მეც მსურს ვიყო პოვეტი
 მეც მინდა წილი პოეზიაში
 იმდელი შველა შენ და შენ ჩანგალს
 რამდენი ლექსიც პროვიზიაში
 მაქვს ჩაწყობილი დასტა-დასტებით...
 ბევრჯერ ვიყავი მე ამ საკითხზე
 ჩვენ რაივონის მილიციაში
 მაინც ვერ მითხრეს და ვერ გავიგე
 თუ რატომ არ ვარ მწერალთ სიაში.
ნიანგი: შენ ამას ვერც გაიგებ. რაც შეეხება „რაივონის“ მილიციას, ვწუხვართ, რომ საპროვიზიო ლექსების წერის-თვის არ დაგაჯარიმათ.

მელაკულა - ?
 ზოოპარკში რომ შევედი
 მე იქ ვნახე დათვი
 შემეშინდა რომ შევხედე
 მგელს უგავდა ცხვირი.
 მერე ვნახე თუთიყუში
 ზაკუსკობდა სემიჩკას
 იმნაირად ჭიკჭიკობდა
 რალმე გავდა ვერიჩკას.
 ბახ ბუხ, ერთი ორი,
 შვიდი ხუთი ათი
 პოლიუსის თეთრმა დათვმა
 ჩამომართვა თათი...

ნიანგი: მაშ რა გეგონათ, თეთრი დათვი არც ისე ხებრეა, მეგობარი რომ ვერ ეცნო.

ჯეელი - რიონი
 წერილს გწერ ძმაო ნიანგო,
 ჩვენი სოფლისა ვარამზე
 ეს ვინ არ იცის რომ ღამით
 მთვარე ანათებს, არა მზე.
ნიანგი: გირჩევთ პოეტობას შეეშვათ და ასტრონომიას მიჰყოთ ხელი, რადგან ასტრონომიაში ძალიან კარგად ერკვევით.

შეგარებული - სამტრედია
 რა ქალი ხარ ძლაბი ნუცა
 არ გწამს ხატი, ღმერთი,
 ხომ გიყვარვარ, ნება მომე
 ჩავიკონო ერთი.
 მე ეს ლექსი გამოუთქვი
 ჩემ საყვარელ ნუცას
 წაუკითხე გადირია
 ღრანჯში სილა მტკუცა.
ნიანგი: ძალიან შემცდარა, სილა კი არა კეტი უნდა ეხეთქათავში, კეტი!

ნუ მოიწყენთ გაგრძელება იქნება!

6. 0.

ჰაემანი

ვარ დაბალი, 105სმ. სქელი 162კგ. 30 წ-ის, უკბილო, ენა-ბლუ, ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ ვაბამ, ვარ მახინჯი, კავალერისტის ფეხებით, მელოტი, ხშირად მიწევს პარიკის ხმარება. დიდი სურვილი მაქვს, გავიცნო მამაკაცი ვისაც ექნება ბევრი ფული, სხვადასხვა სახეობის მანქანები და ა.შ. „კუსკუსა“.

ლოქა

საგავერცო ნიანგი

აილოზა

ჟურნალი "ნიანგი" ულოცავს ყველა მოზარდს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს - 1 ივნისს.

ჟურნალი „ნიანგი“ და შპს „ლოი“ დაბადების დღეს ულოცავს ჟურნალის ყველაზე ნორჩ ხელმომწერს, - თბილისის №53 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს, - ვახტანგ ვახტანგიშვილს, - და უსურვებს წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ლექსიკონი

საპროზაო სასლი - ადგილი, საიდანაც ყველა პროფესიის კაცი გამოდის.

ქანუმი - პირველი ქრთამი.

ვულვარული - ჩვეულებრივი ბავშვი არაჩვეულებრივ ოჯახში.

ღელაქა - უცხო ენა ზოგიერთ ქართულ ოჯახში.

ენის მოქლეკვა - ბავშვური თვისება „უფროსების“ საამებლად.

ნიგნი - ცოდნის წყარო. ხშირად წყალი.

გაქოლა - ხვანა-თესვას ჰგავს; საგაზაფხულოცაა და საშემოდგომოც.

გაკვითილი - შესვენებებს შორის შესასვენებლად გამოყოფილი დრო.

ჩანთა - კენგურუს აქვს, ზოგიერთ მოსწავლეს კი - არა.

ზურგანთა - პირველი ტვირთი.

აი ია - ფრაზა, რომლითაც მოწაფეები „დედა-ენას“ იწყებენ, ყვავილის გადაყიდველები კი - სეზონს.

იულოკი

ვანიჩკამ მამის უჯრაში სამი აბი ვიაგრა იპოვა და თავი ამოყო საავადმყოფოში მარჯვენა ხელის დამწვრობით.

- მამა, მე შენთვის კარგი სიახლე მაქვს: - ტყუილად არ დაგიზღვევია მანქანა!

განცხადებები

კონკურსი ბრძანება

საუკეთესო „სანიანგო“ ნაწარმოებისათვის ჟანრების მიხედვით: პროზა, პოეზია, ნახატი-კარიკატურა, თემა, იუმორესკა, ფელეტონი და სატირა (ჰონორარის წინასწარი გადახდით).

ხელმოწერაც ბრძანება

ერთი წლით ხელმოწერის ფასია 7,2 ლარი;
3 თვით ხელმოწერის ფასია 3,6 ლარი;

9 თვით ხელმოწერის ფასია 5,4 ლარი;
3 თვით ხელმოწერის ფასია 1,8 ლარი.

მთავარი რედაქტორი

ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე
ჭაბუა ამირეჯიბი
ვახტანგ დონხაძე
ძალნაზ კუსაშვილი (მხატ. რედაქტ.)
ჯანგი მამალაძე
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)
მერაბ სიხარულიძე (მთ. რედ. მოადგილე)

ლოიდ ქარჩავა (მ/გ. მდივანი)
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წიფწივაძე
ნანა ჯაფახაშვილი (განუ. რედ.)
გელა ვახვაგვი (დიზაინი)

ჟურნალის გამოცემასა და რეალიზებას უზრუნველყოფს შ.პ.ს. „ლოი“

ჟურნალ „ნიანგის“ და შ.პ.ს. „ლოის“ მისამართი: 380008, თბილისი, რუსთაველის გამზირი №42
ტელ: 93-19-42, 93-49-32, 99-55-54.
ტელ/ფაქსი: 99-78-95
ელ. ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან რეგისტრირებულია: ქ. თბილისის მთაწმინდის რ-ნის სასამართლოს მიერ; რეგისტრაციის №4/4-1263

(1909) ინდექსი: 76137

ნ 89/22



- მაგას ვერ ვხედავ, ქვემოთ ვხედავ!

კომპიუტერული სერვის-ცენტრი

ტექნიკური და პროგრამული მომსახურება

- ახალი კომპიუტერის აწყობა ოპტიმალური კონფიგურაციით;
- ნახშიარი ტექნიკის გადაიარაღება-გაძლიერება;
- მაკომპლექტებლების შერჩევა-დიაგნოსტიკა;
- ტექნიკური და პროგრამული კონფლიქტების ლიკვიდაცია;
- პროგრამების ჩაწერა და ინსტალაცია;
- ოპერაციული სისტემის და დრაივერების დაყენება.

პროგრამირება და დიზაინი

- პროგრამების შედგენა ინდივიდუალური შეკვეთით;
- მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა;
- WEB გვერდების შედგენა, განთავსება და მართვა;
- რეკლამების, აბრების, ეტიკეტების, WEB გვერდების დიზაინი.

კომპიუტერის ინდივიდუალური კურსები

- ოპერაციული სისტემა (სრული კურსი);
- საოფისე პროგრამები (პროფესიონალური დონე);
- ფასიანი კონსულტაციები.

საბამომსახილო სერვისი

- წიგნების, ბროშურების, გაზეთების, ჟურნალების დაკაბადონება და მომზადება გამოსაცემად;
- აკრეფა, კორექტირება, რედაქტირება;
- სატელევიზიო სარეკლამო რგოლებისა და ქულების დამზადება.

თარჯიმანთა ბიურო

- დოკუმენტაციის თარგმნა;
- თარჯიმნის მომსახურება.

მისამართი: რუსთაველის გამზ. №42, უ.პ.ს. „ლოი“

ტელ.: 99-78-95; 99-05-76; 8(771)-434403

ტელ.: 99-78-95

რეკლამა